უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №05

ქ. თბილისი 19.04.2018

სხდომას ესწრებოდნენ:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

დავით აფრასიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარე;
ნუგზარ სხირტლაძე - შპს კავკასიის უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტი სასწავლო დარგში, პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
მაკა გველესიანი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი, საბჭოს მდივანი;
ირაკლი ღარიბაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორი;
რიმა ბერიაშვილი - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი, პროფესორი;
ლევან იმნაიშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის ფაკულტეტის კომპიუტერული ინჟინერიის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;
რამაზ საყვარელიძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი;
ნანა შარიქაძე - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი, ასოცირებული პროფესორი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი;
კონსტანტინე სირბილაძე - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
გიორგი ისაკაძე - ა(ა)იპ - ბიზნესმედია საქართველოს დამფუძნებელი;
ნოდარ შურღაია - შპს დასაქმების სააგენტო ეიჩარის დირექტორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ლაშა მარგიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
თამარ შენგელია - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი;
ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
ნინო სტეფანიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მონიტორინგის კოორდინატორი.

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის წარმომადგენელი/წარმომადგენლები:

რუსუდან ყიფიანი - იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი;
ლუიზა სიხარულიძე - საზღვაო საინჟინრო ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის უფროსი.

სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენელი/წარმომადგენლები:

შალვა ჭკადუა - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია SBA-ის წარმომადგენელი/წარმომადგენლები:

შორენა ხუბუნაია - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენელი/წარმომადგენლები:

ლალი ხვედელიძე -კანცლერი;
ნათია მიქელთაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

შპს საქართვლოს საავიაციო უნივერსიტეტის წარმომადგენელი/წარმომადგენლები:

ემზარ ბარბაქაძე - რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში.

სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წარმომადგენელი/წარმომადგენლები:

ნინო კილაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელ ანრის წარმომადგენელი/წარმომადგენლები:

გურამ ქათამაძე - წარმომადგენელი.

ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):
ნინო ტალიაშვილი;
ლევან მიდოდაშვილი;
ნანა დიხამინჯია;
მაია ხოსიტაშვილი;
დავით ყიფიანი;
მარინა ბიბილური.

სხვა დამსწრე პირები:
თამარ ტაბიძე - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრი; მოწვეული საბჭოს წევრი, სათათბირო ხმის უფლებით.

ნინო ფეტვიაშვილი - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი; მოწვეული საბჭოს წევრი, სათათბირო ხმის უფლებით.

საბჭოს სხდომა დაიწყო 17:11 საათზე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ, დავით აფრასიძემ.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით აფრასიძემ აღნიშნა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო გადაწყვეტილებას იღებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების თაობაზე, გადაწყვეტილების მიღების პროცესში სათათბირო ხმის უფლებით შესაძლებელია, ასევე, მონაწილეობდეს საბჭოს თავმჯდომარის მიერ განსაზღვრული 2 პირი. თავმჯდომარის გადაწყვეტილებით 2018 წლის 19 აპრილის სხდომაზე სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობას მიიღებდნენ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრი, თამარ ტაბიძე და ავტორიზაციის ექსპერტი, ნინო ფეტვიაშვილი.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მონიტორინგის შედეგების საკითხის განხილვა;
2. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მონიტორინგის შედეგების საკითხის განხილვა;
3. შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია SBA-ში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების საკითხის განხილვა;
4. ,,შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA - სთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ" უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2015 წლის 01 სექტემბრის №28 და ,,შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA - ის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ" უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 22 თებერვლის №04 გადაწყვეტილებებში ცვლილებების შეტანის საკითხის განხილვა;
5. ,,შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA - ის ავტორიზაციის შესახებ" უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2013 წლის 12 დეკემბრის №31 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა;

6. ,,სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ" საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 28 ივლისის №07 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა;

7. ,,შპს - ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ" საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2013 წლის 15 თებერვლის №04 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა;

8. ,,შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ" უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2015 წლის 01 სექტემბრის №25 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა;

9. ,,შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ" საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 25 აგვისტოს №156 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა;

10. ,,შპს ინტერბიზნესის აკადემიის ავტორიზაციის შესახებ" უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2014 წლის 20 ნოემბრის №28 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა;

11. ,,სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ" საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 4 აგვისტოს №125 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა;

12. ,,შპს - თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ" უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2013 წლის 10 ოქტომბრის №23 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა;

13. ,,ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ" უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 9 სექტემბრის №17 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა;

14. ,,შპს ინტერბიზნესის აკადემიისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ" უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 13 დეკემბრის №36 და ,,შპს ინტერბიზნესის აკადემიის მიერ სადაზღვევო აგენტის მე-4 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ" უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 5 სექტემბრის №12 გადაწყვეტილებებში ცვლილებების შეტანის საკითხის განხილვა;

15. ,,შპს - ქართულ-ევროპული აკადემიის ავტორიზაციის შესახებ" უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2013 წლის 01 აგვისტოს №6 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა;

16. ,,შპს ბათუმის უმაღლეს საზღვაო საინჟინრო სასწავლებელ ანრის ავტორიზაციის შესახებ" უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2015 წლის 23 თებერვლის №4 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.

ცენტრის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორმა, თამარ შენგელიამ, ექსპერტთა დაგვიანებით გამოცხადების გამო, საბჭოს წინაშე წარადგინა შუამდგომლობა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების რიგითობის შეცვლის თაობაზე. კერძოდ, პირველი და მე-2 საკითხების განხილვა გადანაცვლებულიყო ბოლო საკითხებად. ასევე, ავტორიზაციის დებულებაში შესული ცვლილებების თანახმად, მიზანშეწონილი იყო დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-6 საკითხი ფორმულირებულიყო შემდეგნაირად: სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების ჩამორთმევის საკითხის განხილვა. ასევე, დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-9, მე-11 და მე-14 საკითხები ფორმულირებულიყო შემდეგი სახით: ,,შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტისათვის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ" საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 01 დეკემბრის №380 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა; ,,სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისათვის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ" უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 16 თებერვლის №04 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა; ,,შპს ინტერბიზნესის აკადემიის მიერ სადაზღვევო აგენტის მე-4 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ" უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 5 სექტემბრის №12 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა. ამასთან, დღის წესრიგიდან ამოღებულიყო მე-13 საკითხი - ,,ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ" უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 9 სექტემბრის №17 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

საბჭოს წევრები ერთხმად დაეთანხმნენ წარმოდგენილ შუამდგომლობებს.

შესაბამისად, თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის ახალი წესრიგი:

1. შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია SBA-ში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების საკითხის განხილვა;
2. ,,შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA - სთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ" უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2015 წლის 01 სექტემბრის №28 და ,,შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA - ის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ" უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 22 თებერვლის №04 გადაწყვეტილებებში ცვლილებების შეტანის საკითხის განხილვა;
3. ,,შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA - ის ავტორიზაციის შესახებ" უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2013 წლის 12 დეკემბრის №31 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების ჩამორთმევის საკითხის განხილვა;

5. ,,შპს - ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ" საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2013 წლის 15 თებერვლის №04 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა;
6. ,,შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ" უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2015 წლის 01 სექტემბრის №25 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა;
7. ,,შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტისათვის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ" საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 01 დეკემბრის №380 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა;
8. ,,შპს ინტერბიზნესის აკადემიის ავტორიზაციის შესახებ" უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2014 წლის 20 ნოემბრის №28 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა;
9. ,,სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისათვის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ" უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 16 თებერვლის №04 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა;
10. ,,შპს - თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ" უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2013 წლის 10 ოქტომბრის №23 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა;
11. ,,შპს ინტერბიზნესის აკადემიის მიერ სადაზღვევო აგენტის მე-4 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ" უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 5 სექტემბრის №12 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა;
12. ,,შპს - ქართულ-ევროპული აკადემიის ავტორიზაციის შესახებ" უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2013 წლის 01 აგვისტოს №6 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა;
13. ,,შპს ბათუმის უმაღლეს საზღვაო საინჟინრო სასწავლებელ ანრის ავტორიზაციის შესახებ" უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2015 წლის 23 თებერვლის №4 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა;
14. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მონიტორინგის შედეგების საკითხის განხილვა;
15. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მონიტორინგის შედეგების საკითხის განხილვა.

საბჭომ ერთხმად დაამტკიცა სხდომის ახალის დღის წესრიგი.

1. შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-ში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას, შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა თხოვნით საბჭოს მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისათვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის ძირითადი მიგნებები საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, მარინა ბიბილურმა. ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფი მიღებული ინფორმაციის შეფასების შედეგად მიიჩნევდა, რომ შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია SBA-ის მიერ წარმოდგენილი მე-5 საფეხურის „საბაჟო საქმის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შესაბამისობაში იყო საბაჟო საქმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტთან.

საბჭოს წევრი, კონსტანტინე სირბილაძე, დაინტერესდა წარმოდგენილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების განხორციელების მიზეზით.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ცვლილებების მიზეზი გახლდათ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განხორციელებული ცვლილებები, რომლის შედეგადაც მოდიფიცირდა აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულები.

საბჭოს წევრმა, კონსტანტინე სირბილაძემ, ცენტრის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებს მიმართა თხოვნით, განემარტათ აღნიშნული ცვლილებების განხორციელების მიზეზი.

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილის, ნანი დალაქიშვილის განმარტებით, ცენტრში მიმდინარეობდა კვალიფიკაციათა ჩარჩოს ევროპულ კლასიფიკატორთან შესაბამისობაში მოყვანის პროცესი. აღნიშნული მიდგომებიდან გამომდინარე, მოდიფიცირდა ასევე აღნიშნული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება და შესაბამისი მოდულები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია SBA - სთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების ჩამორთმევასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი -0

გადაწყვეტილება:
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასების და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-სთვის (საიდენტიფიკაციო კოდი: 406037550) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების ჩამორთმევასთან დაკავშირებით.

2. ,,შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-სთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ" უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2015 წლის 01 სექტემბრის №28 და ,,შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA - ის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ" უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 22 თებერვლის №04 გადაწყვეტილებებში ცვლილებების შეტანის საკითხის განხილვა

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილემ, ნანი დალაქიშვილმა საბჭოს სხდომაზე განაცხადა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებაში" 2018 წლის 31 იანვრის №07/ნ ბრძანებით შევიდა ცვლილება, რომლის თანახმად, დებულების მე-40 მუხლის მე-11 პუნქტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ საგანმანათლებლო დაწესებულებებს დაევალათ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის ფარგლებში გადაენაწილებინათ ადგილები ყველა, მათ შორის ე.წ. საგნობრივ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზეც და 2018 წლის 1 მარტამდე შუამდგომლობით მიემართათ შესაბამისი საბჭოსათვის პროფესიულ სტუდენტთა ადგილების განსაზღვრასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებში ცვლილებების შეტანის თაობაზე. ამასთან, დებულების 25-ე მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, დაწესებულების პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა წარმოადგენს თითოეული პროგრამის მიხედვით განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობების ჯამს, რაც იწვევს დაწესებულებისათვის განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა საერთო ზღვრული რაოდენობის კორექტირებას.

ასევე, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2017 წლის 13 ოქტომბრის №656 ბრძანებით შეიცვალა ზოგადი სავალდებულო მოდულები, რის საფუძველზეც, ავტორიზაციის დებულების მე-6 მუხლის ,,გ" პუნქტის მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით (პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს), დაწესებულებებმა ავტორიზაციის დებულების 30^2-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე წარმოადგინეს ინფორმაცია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების თაობაზე. ასევე კორექტირდება მისანიჭებელი კვალიფიკაციების ფორმულირება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანებით დამტკიცებულ ,,ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს" მე-4 დანართის შესაბამისად და მიეთითება პროფესიული სპეციალიზაციის კოდი.

ნანი დალაქიშვილმა განაცხადა, რომ შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA - ის მიერ წარმოდგენილ იქნა შუამდგომლობა, ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებების კორექტირების საჭიროების შესახებ. მან საბჭოს წევრებს განუმარტა, რომ საბჭოს წინაშე წარმოდგენილი შუამდგომლობა, პროგრამების ჩამონათვალი, სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გადანაწილება კიდევ ერთხელ იქნა გადამოწმებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, ჰქონდა თუ არა დაწესებულებას საკმარისი რესურსები, რათა შესაბამისი საგანმანათლებლო გარემო შეექმნა თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე განსაზღვრულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობისთვის. აღნიშნულ კითხვაზე, ნანი დალაქიშვილმა განაცხადა, რომ დაწესებულებას გააჩნდა შესაბამისი რესურსები.

შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ,,შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-სთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ" უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2015 წლის 01 სექტემბრის №28 და ,,შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA - ის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო

პროგრამების დამატების შესახებ“ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 22 თებერვლის №04 გადაწყვეტილებებში ცვლილებების შეტანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე,

1. ცვლილება განხორციელდეს ,,შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA - სთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ“ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2015 წლის 01 სექტემბრის №28 გადაწყვეტილებაში და პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

,,1. შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA - ის (საიდენტიფიკაციო კოდი: 406037550) მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი (1)	მეხუთე	ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 030254	118	148	ქართული	10	ქ. თბილისი, რუსთავის გზატკეცილი №18/22
2	შემფასებელი (1)	მეხუთე	შემფასებლის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 020453	128	158	ქართული	10	ქ. თბილისი, რუსთავის გზატკეცილი №18/22

3	საბაჟო საქმე (1)	მეხუთე	მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია საბაჟო საქმეში 020368	106.5	136,5	ქართული	40	ქ. თბილისი, რუსთავის გზატკეცილი №18/22
4	სატრანსპორტო ლოგისტიკის ოპერატორი (1)	მეოთხე	სატრანსპორტო ლოგისტიკის ოპერატორის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040778	98	128	ქართული	10	ქ. თბილისი, რუსთავის გზატკეცილი №18/22

2. ცვლილება განხორციელდეს ,,შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA - ის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ" უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 22 თებერვლის №04 გადაწყვეტილებაში და პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

,,1. შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA - ის (საიდენტიფიკაციო კოდი: 406037550) მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდი (1)	მეხუთე	საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 112063	115	145	ქართული	60	ქ. თბილისი, რუსთავის გზატკეცილი №18/22
2	საფინანსო სერვისები (1)	მესამე	მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია საფინანსო სერვისებში	55	70	ქართული	50	ქ. თბილისი, რუსთავის გზატკეცილი №18/22

			020456					

3. ,,შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA - ის ავტორიზაციის შესახებ" უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2013 წლის 12 დეკემბრის №31 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილემ, ნანი დალაქიშვილმა განაცხადა, რომ შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA - ის მიერ წარმოდგენილ იქნა შუამდგომლობა, ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების კორექტირების საჭიროების შესახებ. პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა უცვლელი რჩებოდა და 280-ით განისაზღვრებოდა. მან საბჭოს წევრებს განუმარტა, რომ საბჭოს წინაშე წარმოდგენილი შუამდგომლობა, პროგრამების ჩამონათვალი, სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გადანაწილება კიდევ ერთხელ იქნა გადამოწმებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, ჰქონდა თუ არა დაწესებულებას საკმარისი რესურსები, რათა შესაბამისი საგანმანათლებლო გარემო შეექმნა თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე განსაზღვრულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობისთვის. აღნიშნულ კითხვაზე, ნანი დალაქიშვილმა განაცხადა, რომ დაწესებულებას გააჩნდა შესაბამისი რესურსები.

შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ,,შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA - ის ავტორიზაციის შესახებ" უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2013 წლის 12 დეკემბრის №31 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 25-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, ცვლილება განხორციელდეს ,,შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA - ის ავტორიზაციის შესახებ" უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2013 წლის 12 დეკემბრის №31 გადაწყვეტილებაში და მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

,,2. შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA - ის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 800-ით. სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობიდან პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა განესაზღვროს 280-ით. პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობები გადანაწილდეს შემდეგნაირად:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	ბანკის ოპერატორი	მეხუთე	ბანკის ოპერატორის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 020454	120	ქართული	30	ქ. თბილისი, რუსთავის გზატკეცილი №18/22
2	ბიზნესის მართვა	მეოთხე	მცირე ბიზნესის მწარმოებლის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 020360	60	ქართული	15	ქ. თბილისი, რუსთავის გზატკეცილი №18/22
3	ბიზნესის მართვა	მეხუთე	მცირე ბიზნესის მწარმოებლის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 020360	60	ქართული	15	ქ. თბილისი, რუსთავის გზატკეცილი №18/22
4	საბაჟო ბროკერი	მესამე	საბაჟო წარმომადგენლის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 020353	60	ქართული	5	ქ. თბილისი, რუსთავის გზატკეცილი №18/22
5	საბაჟო ბროკერი	მეოთხე	საბაჟო წარმომადგენლის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 020353	60	ქართული	5	ქ. თბილისი, რუსთავის გზატკეცილი №18/22
6	საბაჟო ბროკერი	მეხუთე	საბაჟო წარმომადგენლის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 020353	60	ქართული	5	ქ. თბილისი, რუსთავის გზატკეცილი №18/22
7	საბაჟო დეკლარანტი	მეორე	საბაჟო დეკლარირების სპეციალისტის მეორე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 020352	60	ქართული	5	ქ. თბილისი, რუსთავის გზატკეცილი №18/22

8	ოფისის მენეჯერი	მესამე	ოფისის მენეჯერის (მდივან-რეფერენტი) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 020356	60	ქართული	5	ქ. თბილისი, რუსთავის გზატკეცილი №18/22
9	ოფისის მენეჯერი	მეოთხე	ოფისის მენეჯერის (მდივან-რეფერენტი) მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 020356	60	ქართული	5	ქ. თბილისი, რუსთავის გზატკეცილი №18/22
10	აუდიტორის ასისტენტი	მესამე	აუდიტორის ასისტენტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 020153	60	ქართული	5	ქ. თბილისი, რუსთავის გზატკეცილი №18/22
11	სადაზღვევო აგენტი	მესამე	სადაზღვევო აგენტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 020254	60	ქართული	5	ქ. თბილისი, რუსთავის გზატკეცილი №18/22

4. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების ჩამორთმევის საკითხის განხილვა

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილემ, ნანი დალაქიშვილმა განაცხადა, რომ სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ იქნა შუამდგომლობა, ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების კორექტირების საჭიროების შესახებ. კერძოდ, დაწესებულებას აღარ სურდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება.

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ლაშა მარგიშვილმა განაცხადა, რომ ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლში განხორციელებული ცვლილებების თანახმად, საბჭო უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების ჩამორთმევის შესახებ, თუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება არღვევს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებს. მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან თავად დაწესებულება შუამდგომლობდა, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების ჩამორთმევაზე, საბჭო უფლებამოსილი იყო ემსჯელა აღნიშნულ საკითხზე და მიეღო შესაბამისი გადაწყვეტილება.

აღნიშნული პოზიცია გაიზიარეს საბჭოს წევრებმაც.

შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების ჩამორთმევის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 31-ე მუხლის 9^1 პუნქტის თანახმად, სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტს ჩამოერთვას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება.

5. „შპს - ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ" საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2013 წლის 15 თებერვლის №04 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილემ, ნანი დალაქიშვილმა განაცხადა, რომ შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ იქნა შუამდგომლობა, ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების კორექტირების საჭიროების შესახებ. პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა უცვლელი რჩებოდა და 200-ით განისაზღვრებოდა. მან საბჭოს წევრებს განუმარტა, რომ საბჭოს წინაშე წარმოდგენილი შუამდგომლობა, პროგრამების ჩამონათვალი, სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გადანაწილება კიდევ ერთხელ იქნა გადამოწმებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, ჰქონდა თუ არა დაწესებულებას საკმარისი რესურსები, რათა შესაბამისი საგანმანათლებლო გარემო შეექმნა თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე განსაზღვრულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობისთვის. აღნიშნულ კითხვაზე, ნანი დალაქიშვილმა განაცხადა, რომ დაწესებულებას გააჩნდა შესაბამისი რესურსები.

შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „შპს - ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ" საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2013 წლის 15 თებერვლის №04 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 25-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, ცვლილება განხორციელდეს „შპს - ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ" საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2013 წლის 15 თებერვლის №04 გადაწყვეტილებაში და მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„2. შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტს სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 800-ით. სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობიდან პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა განესაზღვროს 200-ით. პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობები გადანაწილდეს შემდეგნაირად:

	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა		სწავლების ენა	ადგილების ზღვრულირ აოდენობა	პროგრამის განხორციელები ს მისამართი / მისამართები
1	გემბანის რიგითი მეზღვაური	მესამე	გემბანის რიგითი მეზღვაურის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 111001	60		ქართული	100	ქ. ბათუმი, მახინჯაური, თამარ მეფის 38
2	სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაური	მესამე	სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაურის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 111002	60		ქართული	80	ქ. ბათუმი, მახინჯაური, თამარ მეფის 38
3	გემის ელექტრიკოსი	მესამე	ელექტრიკოსის მესამე სააფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040557	60		ქართული	15	ქ. ბათუმი, მახინჯაური, თამარ მეფის 38
4	გემის მზარეული	მეორე	მზარეულის მეორე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 010463	30		ქართული	5	ქ. ბათუმი, მახინჯაური, თამარ მეფის 38

6. ,,შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ" უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2015 წლის 01 სექტემბრის №25 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილემ, ნანი დალაქიშვილმა განაცხადა, რომ შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ იქნა შუამდგომლობა, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების კორექტირების საჭიროების შესახებ. მან საბჭოს წევრებს განუმარტა, რომ საბჭოს წინაშე წარმოდგენილი შუამდგომლობა, პროგრამების ჩამონათვალი, სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გადანაწილება კიდევ ერთხელ იქნა გადამოწმებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან. აღნიშნული გარემოება დაადასტურა დაწესებულების წარმომადგენელმაც.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, ჰქონდა თუ არა დაწესებულებას საკმარისი რესურსები, რათა შესაბამისი საგანმანათლებლო გარემო შეექმნა თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე განსაზღვრულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობისთვის. აღნიშნულ კითხვაზე, დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დაწესებულებას გააჩნდა შესაბამისი რესურსები.

შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ,,შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ" უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2015 წლის 01 სექტემბრის №25 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე,

1. ცვლილება განხორციელდეს ,,შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ" უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2015 წლის 01 სექტემბრის №25 გადაწყვეტილებაში და პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

,,1. შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 206155328) მიენიჭოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	საფრენი აპარატებისა და ძრავების ტექნიკური მომსახურება	მეოთხე	საფრენი აპარატებისა და ძრავების მომსახურების ავიატექნიკოსის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 041654	60	ქართული	5	თბილისი, ქეთევან დედოფლის გამზირი №16
2	საფრენი აპარატებისა და ძრავების ტექნიკური მომსახურება	მეხუთე	საფრენი აპარატებისა და ძრავების მომსახურების ავიატექნიკოსის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 041654	60	ქართული	5	თბილისი, ქეთევან დედოფლის გამზირი №16
3	საფრენი აპარატების ავიონიკისა და ელექტრული სისტემების ტექნიკური მომსახურება	მეოთხე	საფრენი აპარატების ავიონიკისა და ელექტრული სისტემების მომსახურების ავიატექნიკოსის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 041655	60	ქართული	5	თბილისი, ქეთევან დედოფლის გამზირი №16
4	საფრენი აპარატების ავიონიკისა და ელექტრული სისტემების ტექნიკური მომსახურება	მეხუთე	საფრენი აპარატების ავიონიკისა და ელექტრული სისტემების მომსახურების ავიატექნიკოსის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 041655	60	ქართული	5	თბილისი, ქეთევან დედოფლის გამზირი №16
5	კომერციული პილოტი (ინგლისურ ენაზე)	მეოთხე	მეოთხე საფეხურის პილოტის(კომერციული პილოტი) პროფესიული კვალიფიკაცია 041651	70	ინგლისური	15	თბილისი, ქეთევან დედოფლის გამზირი №16

7. ,,შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტისათვის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ" საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 01 დეკემბრის №380 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილემ, ნანი დალაქიშვილმა განაცხადა, რომ შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ იქნა შუამდგომლობა, საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების კორექტირების საჭიროების შესახებ. მან საბჭოს წევრებს განუმარტა, რომ საბჭოს წინაშე წარმოდგენილი შუამდგომლობა, პროგრამების ჩამონათვალი, სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გადანაწილება კიდევ ერთხელ იქნა გადამოწმებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, ჰქონდა თუ არა დაწესებულებას საკმარისი რესურსები, რათა შესაბამისი საგანმანათლებლო გარემო შეექმნა თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე განსაზღვრულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობისთვის. აღნიშნულ კითხვაზე, კახაბერ ერაძემ განაცხადა, რომ დაწესებულებას გააჩნდა შესაბამისი რესურსები.

შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ,,შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტისათვის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ" საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 01 დეკემბრის №380 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 25-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, ცვლილება განხორციელდეს ,,შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტისათვის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ" საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 01 დეკემბრის №380 გადაწყვეტილებაში და პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

,,1. შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტს სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 2 000-ით. სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობიდან პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა განესაზღვროს 100-ით. პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობები გადანაწილდეს შემდეგნაირად:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	ტელერადიორეპორტიორი	მეოთხე	ტელერადიორეპორტიორის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 070351	120	ქართული	5	თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13კმ
2	კრიმინალისტი (ფოტოდაქტილოსკოპისტი)	მესამე	კრიმინალისტის (ფოტოდაქტილოსკოპისტი) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 060451	60	ქართული	40	თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13კმ
3	კრიმინალისტიკა	მეოთხე	კრიმინალისტის (ფოტოდაქტილოსკოპისტი) მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 060451	60	ქართული	30	თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13კმ
4	კრიმინალისტიკა	მეხუთე	კრიმინალისტის (ფოტოდაქტილოსკოპისტი) მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 060451	60	ქართული	20	თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13კმ
5	ინფორმაციული ტექნოლოგი	მესამე	ინფორმაციული ტექნოლოგის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040153	35	ქართული	5	თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13კმ

8. ,,შპს ინტერბიზნესის აკადემიის ავტორიზაციის შესახებ" უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2014 წლის 20 ნოემბრის №28 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილემ, ნანი დალაქიშვილმა განაცხადა, რომ შპს ინტერბიზნესის აკადემიის მიერ წარმოდგენილ იქნა შუამდგომლობა, ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების კორექტირების საჭიროების შესახებ. პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა მოხდებოდა 150-ის ნაცვლად, 134 ადგილით. მან საბჭოს წევრებს განუმარტა, რომ საბჭოს წინაშე წარმოდგენილი შუამდგომლობა, პროგრამების ჩამონათვალი, სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გადანაწილება კიდევ ერთხელ იქნა გადამოწმებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, ჰქონდა თუ არა დაწესებულებას საკმარისი რესურსები, რათა შესაბამისი საგანმანათლებლო გარემო შეექმნა თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე განსაზღვრულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობისთვის. აღნიშნულ კითხვაზე, ნანი დალაქიშვილმა განაცხადა, რომ დაწესებულებას გააჩნდა შესაბამისი რესურსები.

შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ,,შპს ინტერბიზნესის აკადემიის ავტორიზაციის შესახებ" უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2014 წლის 20 ნოემბრის №28 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 25-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, ცვლილება განხორციელდეს ,,შპს ინტერბიზნესის აკადემიის ავტორიზაციის შესახებ" უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2014 წლის 20 ნოემბრის №28 გადაწყვეტილებაში და მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:
,,2. შპს ინტერბიზნესის აკადემიას სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 300-ით. სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობიდან პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა განესაზღვროს 150-ით. პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობები გადანაწილდეს შემდეგნაირად:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	ბუღალტერი	მესამე	ბუღალტრის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 020151	30	ქართული	7	ქ. თბილისი, შალვა ჯაფარიძის ქ. №8
2	ოფისის მენეჯერი (მდივან რეფერენტი)	მესამე	ოფისის მენეჯერის (მდივან რეფერენტი) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 020356	60	ქართული	17	ქ. თბილისი, შალვა ჯაფარიძის ქ. №8
3	კრიმინალისტი (ფოტოდაქტილოსკოპისტი) III საფეხური	მესამე	კრიმინალისტის (ფოტოდაქტილოსკოპისტი) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 060451	60	ქართული	25	ქ. თბილისი, შალვა ჯაფარიძის ქ. №8
4	ინფორმაციული ტექნოლოგი	მესამე	ინფორმაციული ტექნოლოგის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040153	35	ქართული	11	ქ. თბილისი, შალვა ჯაფარიძის ქ. №8
5	პრაქტიკოსი ექთანი	მეხუთე	პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 090552	150	ქართული	50	ქ. თბილისი, შალვა ჯაფარიძის ქ. №8

9. ,,სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისათვის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 16 თებერვლის №04 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა

აღნიშნული საკითხის განხილვაში მონაწილეობაზე თვითაცილება განაცხადეს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა, რიმა ბერიაშვილმა და რამაზ საყვარელიძემ. რიმა ბერიაშვილი წარმოადგენდა სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორსა და პროფესორს, ხოლო რამაზ საყვარელიძე პროფესორს.

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილემ, ნანი დალაქიშვილმა განაცხადა, რომ სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ იქნა შუამდგომლობა, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების კორექტირების საჭიროების შესახებ. პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა უცვლელი რჩებოდა და 50-ით განისაზღვრებოდა. მან საბჭოს წევრებს განუმარტა, რომ საბჭოს წინაშე წარმოდგენილი შუამდგომლობა, პროგრამების ჩამონათვალი, სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გადანაწილება კიდევ ერთხელ იქნა გადამოწმებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, ჰქონდა თუ არა დაწესებულებას საკმარისი რესურსები, რათა შესაბამისი საგანმანათლებლო გარემო შეექმნა თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე განსაზღვრულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობისთვის. აღნიშნულ კითხვაზე, ნანი დალაქიშვილმა განაცხადა, რომ დაწესებულებას გააჩნდა შესაბამისი რესურსები.

შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ,,სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისათვის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 16 თებერვლის №04 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 9
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 25-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, ცვლილება განხორციელდეს ,,სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისათვის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 16 თებერვლის №04 გადაწყვეტილებაში და პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:
,,2. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 211328703) სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 11 200-ით. სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობიდან პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა განესაზღვროს 50-ით. პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობები გადანაწილდეს შემდეგნაირად:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	პრაქტიკოსი ექთანი	მეხუთე	პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 090552	150	ქართული	44	თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი №33
2	სამედიცინო და ფარმაცევტულ მოწყობილობათა ოპერატორი	მეხუთე	სამედიცინო და ფარმაცევტულ მოწყობილობათა ოპერატორის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 090151	150	ქართული	6	თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი №33

10. ,,შპს - თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ" უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2013 წლის 10 ოქტომბრის №23 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილემ, ნანი დალაქიშვილმა განაცხადა, რომ შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ იქნა შუამდგომლობა, ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების კორექტირების საჭიროების შესახებ. პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა უცვლელი რჩებოდა და 20-ით განისაზღვრებოდა. მან საბჭოს წევრებს განუმარტა, რომ საბჭოს წინაშე წარმოდგენილი შუამდგომლობა, პროგრამების ჩამონათვალი, სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გადანაწილება კიდევ ერთხელ იქნა გადამოწმებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, ჰქონდა თუ არა დაწესებულებას საკმარისი რესურსები, რათა შესაბამისი საგანმანათლებლო გარემო შეექმნა თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე განსაზღვრულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობისთვის. აღნიშნულ კითხვაზე, ნანი დალაქიშვილმა განაცხადა, რომ დაწესებულებას გააჩნდა შესაბამისი რესურსები.

შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ,,შპს - თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ" უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2013 წლის 10 ოქტომბრის №23 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 25-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, ცვლილება განხორციელდეს ,,შპს - თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ" უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2013 წლის 10 ოქტომბრის №23 გადაწყვეტილებაში და მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

,,2. შპს თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტს სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 750-ით. სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობიდან პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა განესაზღვროს 20-ით. პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობები გადანაწილდეს შემდეგნაირად:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	კბილის ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა	მესამე	კბილის ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 090251	60	ქართული	5	თბილისი, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი, 31
2	კბილის ტექნიკოსის მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა	მეოთხე	კბილის ტექნიკოსის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 090251	30	ქართული	5	თბილისი, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი, 31
3	კბილის ტექნიკოსის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა	მეხუთე	კბილის ტექნიკოსის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 090251	30	ქართული	5	თბილისი, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი, 31
4	ინფორმაციული ტექნოლოგი	მესამე	ინფორმაციული ტექნოლოგის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040153	40	ქართული	5	თბილისი, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი, 31

11. ,,შპს ინტერბიზნესის აკადემიის მიერ სადაზღვევო აგენტის მე-4 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ“ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 5 სექტემბრის №12 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილემ, ნანი დალაქიშვილმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ცენტრის დირექტორის 2017 წლის 16 აგვისტოს № 512 ბრძანებით ცვლილება განხორციელდა ,,პროფესიული სტანდარტის, საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის და მოდულის შემუშავების წესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2016 წლის 4 აგვისტოს N733 ბრძანებაში, რის საფუძველზეც ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ საგანმანათლებლო პროგრამებიდან, ამოღებულ იქნა მოდულები ქართული ენა A2 და ქართული ენა B1. მოდულების, ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულო გახდა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით.

ამასთან, ცენტრის დირექტორის 2017 წლის 7 აგვისტოს №475, 2017 წლის 7 აგვისტოს №480, 2017 წლის 9 აგვისტოს № 489, 2017 წლის 11 აგვისტოს №497, 2017 წლის 14 აგვისტოს № 502, 2017 წლის 16 აგვისტოს №№507, 508, 509, 510, 511, 2017 წლის 24 აგვისტოს №540 ბრძანებებით დამტკიცდა ოპტიმიზირებული ჩარჩო დოკუმენტები და ცვლილებები შევიდა დამტკიცებულ ჩარჩო დოკუმენტებში. საგანმანათლებლო დაწესებულებებმა მოახდინეს უკვე ავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობაში მოყვანა ოპტიმიზირებულ და შეცვლილ ჩარჩო დოკუმენტებთან და წარმოადგინეს პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში ავტორიზაციის საბჭოზე გასატანად და გადაწყვეტილებებში ცვლილებების შესატანად. ნანი დალაქიშვილის განმარტებით, საგანმანათელბლო დაწესებულებების მიერ განხორციელებული ცვლილებები შესაბამისობაში იყო ზემოხსენებული ბრძანებებით განხორციელებულ ცვლილებებთან.

შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ,,შპს ინტერბიზნესის აკადემიის მიერ სადაზღვევო აგენტის მე-4 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ“ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 5 სექტემბრის №12 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე,

1. ცვლილება განხორციელდეს ,,შპს ინტერბიზნესის აკადემიის მიერ სადაზღვევო აგენტის მე-4 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ“ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 5 სექტემბრის №12 გადაწყვეტილებაში და პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

,,1. შპს ინტერბიზნესის აკადემიას (საიდენტიფიკაციო კოდი: 201990881) მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა:“

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1.	სადაზღვევო აგენტი (1)	მეოთხე	სადაზღვევო აგენტის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 020254	87	117	ქართული	24	ქ. თბილისი, შ. ჯაფარიძის ქ. №8

12. ,,შპს - ქართულ-ევროპული აკადემიის ავტორიზაციის შესახებ" უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2013 წლის 01 აგვისტოს №6 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილემ, ნანი დალაქიშვილმა განაცხადა, რომ შპს ქართულ-ევროპული უმაღლესი სასწავლებლის მიერ წარმოდგენილ იქნა შუამდგომლობა, ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების კორექტირების საჭიროების შესახებ. პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა უცვლელი რჩებოდა და 90-ით განისაზღვრებოდა. მან საბჭოს წევრებს განუმარტა, რომ საბჭოს წინაშე წარმოდგენილი შუამდგომლობა, პროგრამების ჩამონათვალი, სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გადანაწილება კიდევ ერთხელ იქნა გადამოწმებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, ჰქონდა თუ არა დაწესებულებას საკმარისი რესურსები, რათა შესაბამისი საგანმანათლებლო გარემო შეექმნა თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე განსაზღვრულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობისთვის. აღნიშნულ კითხვაზე, ნანი დალაქიშვილმა განაცხადა, რომ დაწესებულებას გააჩნდა შესაბამისი რესურსები.

შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ,,შპს - ქართულ-ევროპული აკადემიის ავტორიზაციის შესახებ" უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2013 წლის 01 აგვისტოს №6 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 25-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, ცვლილება განხორციელდეს ,,შპს - ქართულ-ევროპული აკადემიის ავტორიზაციის შესახებ" უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2013 წლის 01 აგვისტოს №6 გადაწყვეტილებაში და მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:
,,2. შპს ქართულ-ევროპულ უმაღლეს სასწავლებელს სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 440-ით. სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობიდან პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა განესაზღვროს 90-ით. პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობები გადანაწილდეს შემდეგნაირად:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	მცირე ბიზნესის მწარმოებელი (ბიზნესის მენეჯმენტი)	მეოთხე	მცირე ბიზნესის მწარმოებლის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 020360	60	ქართული	18	თბილისი, ალ. ყაზბეგის 16
2	საინფორმაციო ტექნოლოგიები	მესამე	ინფორმაციული ტექნოლოგის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040153	44	ქართული	15	თბილისი, ალ. ყაზბეგის 16
3	სამედიცინო და ფარმაცევტულ მოწყობილობათა ოპერატორი	მეხუთე	სამედიცინო და ფარმაცევტულ მოწყობილობათა ოპერატორის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 090151	150	ქართული	27	თბილისი, ალ. ყაზბეგის 16
4	Small Business manager (Business Management) / მცირე ბიზნესის მწარმოებელი (ბიზნესის მენეჯმენტი)	მეოთხე	მცირე ბიზნესის მწარმოებლის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 020360	60	ინგლისური	15	თბილისი, ალ. ყაზბეგის 16
5	Information Technologies / საინფორმაციო ტექნოლოგიები	მესამე	ინფორმაციული ტექნოლოგის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040153	44	ინგლისური	15	თბილისი, ალ. ყაზბეგის 16

13. ,,შპს ბათუმის უმაღლეს საზღვაო საინჟინრო სასწავლებელ ანრის ავტორიზაციის შესახებ" უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2015 წლის 23 თებერვლის №4 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილემ, ნანი დალაქიშვილმა განაცხადა, რომ შპს ბათუმის უმაღლეს საზღვაო საინჟინრო სასწავლებელ ანრის მიერ წარმოდგენილ იქნა შუამდგომლობა, ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების კორექტირების საჭიროების შესახებ. პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა უცვლელი რჩებოდა და 400-ით განისაზღვრებოდა. მან საბჭოს წევრებს განუმარტა, რომ საბჭოს წინაშე წარმოდგენილი შუამდგომლობა, პროგრამების ჩამონათვალი, სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გადანაწილება კიდევ ერთხელ იქნა გადამოწმებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, ჰქონდა თუ არა დაწესებულებას საკმარისი რესურსები, რათა შესაბამისი საგანმანათლებლო გარემო შეექმნა თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე განსაზღვრულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობისთვის. აღნიშნულ კითხვაზე, ნანი დალაქიშვილმა განაცხადა, რომ დაწესებულებას გააჩნდა შესაბამისი რესურსები.

შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ,,შპს ბათუმის უმაღლეს საზღვაო საინჟინრო სასწავლებელ ანრის ავტორიზაციის შესახებ" უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2015 წლის 23 თებერვლის №4 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 25-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, ცვლილება განხორციელდეს ,,შპს ბათუმის უმაღლეს საზღვაო საინჟინრო სასწავლებელ ანრის ავტორიზაციის შესახებ" უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2015 წლის 23 თებერვლის №4 გადაწყვეტილებაში და პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:
,,1. შპს ბათუმის უმაღლეს საზღვაო საინჟინრო სასწავლებელ ანრის (საიდენტიფიკაციო კოდი: 245539403) 2015 წლის 27 მაისიდან 5 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (კოლეჯი) და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 840-ით. სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობიდან პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა განესაზღვროს 400-ით." პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობები გადანაწილდეს შემდეგნაირად:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	გემბანის რიგითი მეზღვაური (მატროსი)	მესამე	გემბანის რიგითი მეზღვაურის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 111051	60	ქართული	200	ბათუმი, ანგისის დასახლება, შ. ხიმშიაშვილის ქუჩა №47-ის მიმდებარე ტერიტორია
2	გემბანის რიგითი მეზღვაური (მატროსი) (ინგლისურენოვანი)	მესამე	გემბანის რიგითი მეზღვაურის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 111051	60	ინგლისური	10	ბათუმი, ანგისის დასახლება, შ. ხიმშიაშვილის ქუჩა №47-ის მიმდებარე ტერიტორია
3	გემბანის რიგითი მეზღვაური (მატროსი) (რუსულენოვანი)	მესამე	გემბანის რიგითი მეზღვაურის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 111051	60	რუსული	10	ბათუმი, ანგისის დასახლება, შ. ხიმშიაშვილის ქუჩა №47-ის მიმდებარე ტერიტორია
4	სამანქანე განყოფილების მეზღვაური (მოტორისტი)	მესამე	სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაურის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 111052	60	ქართული	160	ბათუმი, ანგისის დასახლება, შ. ხიმშიაშვილის ქუჩა №47-ის მიმდებარე ტერიტორია
5	სამანქანე განყოფილების მეზღვაური (მოტორისტი) (ინგლისურენოვანი)	მესამე	სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაურის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 111052	60	ინგლისური	10	ბათუმი, ანგისის დასახლება, შ. ხიმშიაშვილის ქუჩა №47-ის მიმდებარე ტერიტორია

6	სამანქანე განყოფილების მეზღვაური (მოტორისტი) (რუსულენოვანი)	მესამე	სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაურის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 111052	60	რუსული	10	ბათუმი, ანგისის დასახლება, შ. ხიმშიაშვილის ქუჩა №47-ის მიმდებარე ტერიტორია

14. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მონიტორინგის შედეგების საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას, შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა თხოვნით საბჭოს მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისათვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის ძირითადი მიგნებები საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნინო ტალიაშვილმა. მისი განმარტებით, მონიტორინგის საფუძველს წარმოადგენდა სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის იმ დროისთვის ყოფილი ასოცირებული პროფესორის საჩივარი. ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულების შეფასება განახორციელა მხოლოდ ამ საჩივარში აღნიშნული გარემოებების ფარგლებში, კერძოდ საკითხი ეხებოდა დაწესებულების მიერ გამოცხადებულ აკადემიური პერსონალის კონკრეტულ კონკურსს.

საბჭოს წევრი, კონსტანტინე სირბილაძე, დაინტერესდა, ცნობილი იყო თუ არა დაწესებულების მიერ შემუშავებული ის შეფასების კრიტერიუმები, რომლის მიხედვითაც ფასდებოდნენ კანდიდატები აკადემიური პერსონალის შერჩევისას გამოცხადებული კონკურსის დროს.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის განმარტებით, დაწესებულებას არ ჰქონდა შემუშავებული კონკურსანტთა შერჩევის კრიტერიუმები. მოთხოვნის მიუხედავად, დაწესებულებას არ წარმოუდგენია კომისიის წევრთა შეფასებები, შესაბამისად, მათ ხელთ არსებული დოკუმენტაციიდან არ იკვეთებოდა, თუ რა პრინციპზე დაყრდნობით შეირჩნენ კანდიდატები.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, გაეცნენ თუ არა ექსპერტები დაწესებულების სხვა ჩატარებული კონკურსების დოკუმენტებს.

ექსპერტთა თავმჯდომარის განმარტებით, მათ ჰქონდათ მხოლოდ საჩივრის ფარგლებში ჩატარებული კონკურსის მასალების შესწავლის შესაძლებლობა.

საბჭოს წევრი, ნანა შარიქაძე, დაინტერესდა, თუ რა სახით იყვნენ ჩართული სტუდენტები კონკურსანტთა შერჩევის პროცესში.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის განმარტებით, კომისიის შემადგენლობაში სტუდენტები არ იყვნენ წარმოდგენილნი, თუმცა, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ოქმებიდან ცნობილი გახდა, რომ კანდიდატთა შერჩევის პროცესში საკონკურსო კომისიამ იხელმძღვანელა სტუდენტთა შეფასების ფორმებით. მან ასევე, აღნიშნა რომ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და, აგრეთვე, დაწესებულების წესდებით, აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ ღია კონკურსში მონაწილეობის უფლება გააჩნდათ იმ პირებსაც, რომლებიც შრომით ურთიერთობაში არ იმყოფებოდნენ დაწესებულებასთან. გამომდინარე აქედან, დაუშვებელი იყო სტუდენტთა გამოკითხვის საფუძველზე კონკურსანტის შეფასების შედეგების გამოყენება აკადემიური პერსონალის კონკურსის წესით შერჩევის კრიტერიუმად.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, დაწესებულებამ გაითვალისწინა მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული შენიშვნები და რეკომენდაციები. მისი განმარტებით, აკადემიაში ამ ეტაპზე მიმდინარეობდა რიგი დებულებების განახლება, რომელსაც დაწესებულება უახლოეს მომავალში წარუდგენდა ცენტრს. კომისიის წევრთა შერჩევის

მიმართებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ თითოეული ფაკულტეტის დეკანი რექტორს წარუდგენდა 9 კანდიდატს, რომელთაგანაც რექტორის მიერ ხდებოდა 5-7 წარმომადგენლის შერჩევა. ამასთან, რიგ საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა რაოდენობის ზრდიდან გამომდინარე, საჭირო გახდა ვაკანტური ადგილების რაოდენობის გაზრდა. შესაბამისად, რექტორის 2017 წლის 5 დეკემბრის #01-82 ბრძანებით გამოცხადებულ კონკურსში აღნიშნული საჩივრის ავტორმა წარადგინა საკონკურსო დოკუმენტაცია და ღია კონკურსის შედეგად არჩეულ იქნა ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე.

საბჭოს წევრი, ნუგზარ სხირტლაძე, დაინტერესდა, თუ რამ განაპირობა დამატებითი ვაკანტური ადგილების განსაზღვრა კონკურსის დასრულებამდე 1 დღით ადრე.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, აღნიშნულ პერიოდში ჩატარდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ, შესაბამისად, გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, გაჩნდა აკადემიური პერსონალის დამატებითი ვაკანტური ადგილების განსაზღვრის საჭიროება და გამოცხადდა დამატებითი კონკურსი.

საბჭოს სხდომაზე შესვენება გამოცხადდა 18:13 საათზე.
საბჭოს სხდომა განახლდა 18:28 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი -0

გადაწყვეტილება:
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასების და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის (საიდენტიფიკაციო კოდი: 245427337) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით აფრასიძემ ცენტრის წინაშე წარმოადგინა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს შუამდგომლობა, რომლის მიხედვითაც მიმდინარე წელს დაწესებულების საავტორიზაციო წარმოების ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფისთვის ხელმისაწვდომი ყოფილიყო მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა და მათ მიერ განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულიყო მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში მოცემულ გარემოებებთან დაკავშირებით.

15. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მონიტორინგის შედეგების საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას, შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა თხოვნით საბჭოს მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისათვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის ძირითადი მიგნებები საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნანა დიხამინჯიამ. ექსპერტის განმარტებით, დაწესებულების მიმართ განხორციელდა გეგმიური მონიტორინგის შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ საკუთარი აზრის გამოხატვის უფლება მისცა დაწესებულების წარმომადგენლებს.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, დაწესებულებამ გაითვალისწინა მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული შენიშვნები და რეკომენდაციები.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის განცხადებით, მნიშვნელოვანი იყო, რომ დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმის ანგარიშში ასახულ იქნას სამოქმედო გეგმის შესრულება-შეუსრულებელი პუნქტების ანალიზი და მიზეზები.

საბჭოს წევრი, ლევან იმნაიშვილი, დაინტერესდა, თუ რას დაეფუძნა ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაცია ყველა საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით თითოეული პროფესორის საათობრივი დატვირთვის ბადის შექმნის შესახებ.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის განმარტებით, მონიტორინგის ფარგლებში დაწესებულებამ ექსპერტთა ჯგუფს ვერ წარუდგინა მათი მხრიდან გამოთხოვილი აკადემიური პერსონალის დატვირთვის ბადე. გამომდინარე იქიდან, რომ აკადემიური პერსონალის დატვირთვა განსხვავებული იყო ფაკულტეტების მიხედვით, ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, მნიშვნელოვანი იყო თითოეული პროფესორის საათობრივი დატვირთვის ბადის შექმნა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი -0

გადაწყვეტილება:
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასების და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო

უნივერსიტეტის (საიდენტიფიკაციო კოდი: 231187168) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით აფრასიძემ ცენტრის წინაშე წარმოადგინა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს შუამდგომლობა, რომლის მიხედვითაც მიმდინარე წელს დაწესებულების საავტორიზაციო წარმოების ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფისთვის ხელმისაწვდომი ყოფილიყო მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა და მათ მიერ განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულიყო მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში მოცემულ გარემოებებთან დაკავშირებით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდგომ 18:48 საათზე საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე
დავით აფრასიძე

მდივანი
მაკა გველესიანი